# სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზების წესი

**კონფერენციის ჩატარების ფორმა:**

1. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციას ორგანიზებას უკეთებს ახალი უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი და სტუდენტთა თვითმმართველობა;

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებისთვის რექტორის სამართლებრივი აქტის საფუძველზე იქმნება სპეციალური კომისია;

2. ახალი უმაღლესი სასწავლებლის მიერ ორგანიზებულ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ახალი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტს, საქართველოს ან უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატის საფეხურის სტედენტს;

3. კონფერენციაში მონაწილეობის მსურველ სტუდენტს შეუძლია რეგისტრაცია გაიაროს სასწავლებლის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში ან ელექტრონული ფორმით ახალი უმაღლესი სასწავლებლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.newuni.edu.ge (კონკრეტული ღონისძიებისთვის განთავსებულ საინფორმაციო ველში);

4. კონფერენციაში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს ნაშრომის ერთი ეგზემპლარი (ამობეჭდილი და ელექტრონული ფორმით);

5. კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ნაშრომის ერთმა ხელმძღვანელმა არ შეიძლება მოამზადოს სამ სტუდენტზე მეტი;

6. კომისიის წევრი, რომელიც ამავდროულად არის ნაშრომის ხელმძღვანელი, არ აფასებს აღნიშნულ ნაშრომს; ამ შეფასების ნაცვლად ნაშრომს მიეცემა კომისიის დანარჩენ წევრთა შეფასება;

7. კონფერენციაში გამარჯვებული სტუდენტი გამოვლინდება კომისიის მიერ;

8. სტუდენტის მიერ საკუთარი ნაშრომის წარმოდგენისა და კომისიის წევრებთან დისკუსიის დრო განისაზღვრება 12-15 წუთი;

9. სტუდენტის ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებია:

ა) სტუდენტის ნაშრომში დასმული საკითხის აქტუალურობა;

ბ) ნაშრომში წამოჭრილი საკითხის ავტორისეული გადაწყვეტა და არგუმენტირებული დასკვნების გაკეთება;

გ) ნაშრომში მოყვანილი მოსაზრებების ავთენტურობა და საავტორო კეთილსინდისიერების დაცვა ( იმ შემთხვევაში თუ დარღვეული იქნება საავტორო უფლება და გამოვლინდება პლაგიატი, ასეთი საკითხი განსახილველად გადაეცემა ეთიკის კომისიას შემდგომი რეაგირებისთვის);

დ) ნაშრომის მომხსენებლის პრეზენტატულობის უნარი, საკუთარი მოსაზრებების ნათლად და რელევანტურად ჩამოყალიბება;

ე) კომისიის წევრთა წინაშე დისკუსიის წარმართვა;

ვ) ნაშრომის შესრულების სტანდარტებთან შესაბამისობა;